ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3859603

ნომერი: AR1577944

თარიღი : 16.02.2018

გაცემის თარიღი : 16.03.2018

გაცნობის თარიღი : 16.03.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 21 , (ნაკვ. 64/39) ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ციცინო ფუტკარაძე პ/ნ 01001000999
- წერეთლის გამზირი #89

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ალეგრო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204865271
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ციცინო ფუტკარაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001000999

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2448554
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 23.02.2016

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამაზ შაშიაშვილი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N21-ში, (ნაკვ. 64/39, უძრავი ძეგლი), სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტრებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვლინდება, რომ სამუშაოები უკვე ნაწარმოებია შეტანხმებული პროექტის დარღვევით. განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის თანახმად აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ კანონთ დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებიც და უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ მოთხოვნილი სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე ვრცელდება საქართველოს კანონი "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ". აღნიშნული კანონი კი არ ითვალისწინებს, ძეგლზე შესაბამისი ნებართვის მიღებამდე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და ძეგლზე უკვე ნაწარმოებ სამუშაოებზე ნებართვის გაცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვას, ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N21-ში, (ნაკვ. 64/39, უძრავი ძეგლი), სარეაბილიტაციო სამუშაოების კორექტრებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.